თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3692345

ნომერი: AR1557240

თარიღი : 11.11.2017

გაცემის თარიღი : 27.11.2017

გაცნობის თარიღი : 27.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რევაზ ჯაფარიძის ქუჩა N52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევანი ჯაჭვაძე პ/ნ 35001044343
- რუსთავი სპორტის ქ. კორ. 2 ბ. 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1557240 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1555651 და #AR1555193 ელექტრონული განცხადებებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 7 ნოემბერს #AR1555651 და #AR1555193 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე მუხრან აბაიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, რევაზ ჯაფარიძის ქუჩა #52-ში , #01.15.01.002.002 საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამართალდარღვევის სანქციისგან გათავისუფლება.

ამასთან გაცნობებთ, რომ #AR1555193 ელექტრონული განცხადებით მოთხოვნილი საკითხი განმცხადებლის მოთხოვნით დარჩა განუხილველი ხოლო, #AR1555651 ელექტრონული განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის #3686608 გადაწყვეტილებით გამოვლინდა გარკვეული ტიპის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული დოკუმენტაციის შეთანხმება არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.